

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, რომელიც 17 წევრისაგან შედგება მუშაობას წარმართავდა სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელშიდაც გათვალისწინებული იყო, მუნიციპალიტეტისათვის აქტუალური- სასიცოცხლო საკითხები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე განხილულ საკითხთა უმრავლესობა ფრაქციის წევრების მიერ შესწავლილი, მომზადებული და ფრაქციის რეკომენდაციით არის შეტანილი საკრებულოს სხდომებზე. აღნიშნული მოიცავდა ისეთ აქტუალურ მიმართულებებს, როგორცაა საფინანსო-საბიუჯეტო, სოციალური, ინფრასტრუქტურული, კულტურულ-საგანმანათლებლო, ქალთა უფლებების დაცვის და ა.შ. საკითხები.

ფრაქციის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სოფლის მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების პროცესებში. თითოეულმა მონაწილეობა მიიღო, აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული კრებების მუშაობაში და შემდგომ კონტროლი ჰქონდათ დამყარებული მოსახლეობის მიერ შერჩეული 70 პროექტის განხორციელების მიმდინარეობაზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, სოფლის მხარდაჭერის მიზნით გამოყოფილი 620 000 ლარიდან, განათების მოწყობას მოხმარდა 25800 ლარი. წყალსადენების რეაბილიტაციას -99000 ლარი, თავშეყრის ადგილების მოწყობას- 75000 ლარი, შიდა სასოფლო გზების შეკეთებას- 4900 ლარი სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემების მოწყობას- 46500 ლარი, სასაფლაოების შემოკავების- 30000 ლარი, სკვერების კეთილმოწყობას- 18500 ლარი, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებას -10000 ლარი. ამბულატორიებისა და ბიბლიოთეკების შეკეთებას- 10000 ლარი, საცურაო აუზების მოწყობას- 10000 ლარი, სახნავ -სათესი ნაკვეთების შემოკავებას- 8500 ლარი, წისქვილების რემონტს- 3000 ლარი, ხოლო კლუბის შეკეთებას -2500 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი სამუშაოები ჩატარდა გათვალისწინებული ვადების დაცვითა და რაც მთავარია ხარისხიანად.

სოფლის მოსახლეობის აზრის გათვალისწინებითა და ფრაქციის წევრების ჩართულობით დაიგეგმა და განხორციელდა სოფლების: ალპანის, ჩხუტელის ჩქუმის ,წიფერჩის, ტვიშის, ლასურიაშის და ლაჯანის 7 კომპლექტი ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობაზე, რომელშიც დახარჯული იქნა 138527 ლარი , ხოლო სოფლებში: ჭალისთავში, სურმუშში, ალპანასა და ზუბში მიმდინარეობს ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები, რაშიდაც დაიხარჯება 230387 ლარი.

დასრულების პროცესშია ქ. ცაგერში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა, რომლის ექსპლოატაციაში შესვლა კარგი საჩუქარი იქნება სპორტული საზოგადოებებისა და მოსახლეობისათვის.

ფრაქციის წევრების ჩართულობით განხორციელდა ტურისტული თვალსაზრისით ტერიტორიულად მიმზიდველ ადგილებში შესაბამისი ობიექტები: მურის ციხეების, ორბელის

უღელტეხილის, ოფიტრის ბოლოს, ღვირიშისა და ჩქუმის ცივი ქვის ობიექტები, რომლებიც ტურისტებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლების დიდი ინტერესსა და მოწონებას იმსახურებს.

უკვე დასრულების პროცესშია ხვამლის მთაზე მისასვლელი 18 კილომეტრიანი ბეტონის გზის მშენებლობა. დასრულდა ქალაქის ქუჩების ასფალტირების და კეთილმოწყობის სამუშაოები. ასევე ექსპლოატაციაში შევიდა ქვედა ცაგერი -ლასურიაშის მონაკვეთის ასფალტირებული გზა.

დასრულდა საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა, რომლის ღირებულებამაც 324869 ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უახლოეს პერიოდში მოსახლეობა ახალ საჩუქარს მიიღებს. ქ. ცაგერში ამოქმედდება თანამედროვე სტანდარტების იუსტიციის ახალი შენობა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს სასოფლო-სამეურნეო ნამეტი პროდუქტების დამზადებისა და რეალიზაციის საქმეში მოსახლეობის დახმარების თვალსაზრისით (იგულისხმება ყურძნის რეალიზაცია), აღნიშნულის შედეგად ყურძნის გადამამუშავებელ კომპანიებს მიეყიდათ 1300 ტონამდე სხვადასხვა ჯიშის პროდუქცია, რამაც 4 მილიონ 200 ათასი ლარის შემოსავალი მოუტანა რაიონის მოსახლეობას.

ასევე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წინა გასული პერიოდებისაგან განსხვავებით, ჯანსაღი, კოლეგიალური, საქმიანი და შედეგის მომტანი ურთიერთობა მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს შორის, რაც მეტად დადებითადაა ასახული მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში.

ფრაქციის თავმჯდომარე

კარლო მუშკუდიანი